

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - *ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა*
2. პროგრამის მოცულობა - 60 (ECTS) კრედიტი, ხანგრძლივობა - ორი სემესტრი, სემესტრში - 30(ECTS) კრედიტი
3. სწავლების ენა - ქართული
4. პროგრამის ხელმძღვანელი
 - მერაბ ნაჭყებია - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, ქართველური ენათმეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი
5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების დადებითი შედეგების საფუძველზე.

6. პროგრამის აქტუალობა და სფეროს აღწერა

საქართველოს სახელმწიფოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტს წარმოადგენს ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობა; ტოლერანტობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება; ეროვნულ უმცირესობათა განათლების უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს ეროვნულ უმცირესობათა კულტურული და ლინგვისტური იდენტურობის დაცვას და ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. სწორედ ამას ემსახურება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის საბოლოო მიზანია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას და ასევე, ეთნიკური უმცირესობების ენობრივი და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას.

7. პროგრამის მიზანი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე *ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია* საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისათვის *ქართულ ენაში ცოდნისა და უნარ-ჩვევების (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) შეძენა საბაზო დონეზე*, რაც აუცილებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულმა სტუდენტებმა შეძლონ სწავლის გაგრძელება მათთვის სასურველ საბაკალავრო ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე, ასევე ხელი შეუწყოს სრულფასოვანი მოქალაქის აღზრდას, რომელიც შეძლებს სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციასა და საკუთარი წვლილის შეტანას მის განვითარებაში.

პროგრამის მიზანი მიღწევადია და მისი შესაბამისობა მისიასთან უზრუნველყოფილია სხვადასხვა ფაქტორებით: სწავლისა და სწავლების პროცესში მეორე ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდების დანერგვით, კურსდამთავრებულთა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობით აკადემიურ პროგრამებზე, მაღალხეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებით ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის, პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური საზოგადოების, პედაგოგებისა და სტუდენტების) აქტივობით.

8. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება - პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა მიიღო:

- საბაზისო ცოდნა ქართული ენაში; აქვს ქართულ ენასა და მის მნიშვნელობაზე ზოგადი წარმოდგენა.
- გაერკვია ქართული ენის სტრუქტურაში (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებში, იცის საერთო ნიშნები.
- შეიძინა ქართული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგი.
- შეეძინა ზოგადი წარმოდგენა ქართული ლიტერატურული და ფოლკლორული შედეგების შესახებ.
- გაეცნო ენობრივი კონტაქტების ძირითად ასპექტებს (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი).

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ქართული ენის პრაქტიკული გამოყენება გარკვეული წერილობითი კორესპოდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის,
- საუბრის წარმართვა.
- გააჩნია ქართულ ენაზე გარკვეული ტიპის ტექსტების მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი.
- შეუძლია ქართული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენება; საბიბლიოთეკო ფონდებზე მუშაობა, სხვადასხვა ტიპის ტექსტის რედაქტირება, კომენტირება და ანოტირება.
- შეიძინა პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი.
- შეუძლია კონკრეტული, ვიწროდარგობრივი მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიულ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში.

დასკვნის უნარი

- შეუძლია ენობრივი პროცესების ელემენტარული შეფასება და ანალიზი; კონკრეტული ენობრივი ფაქტების განზოგადება და ისტორიულ კონტექსტში განხილვა.
- ენობრივი ფორმების სიტუაციის (კონტექსტის – ვინ, ვისთან, სად, რის გამო, რა მიზნით ამყარებს ურთიერთობას) შესაბამისად შერჩევა და გამოყენება;
- ზეპირი და წერილობითი ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გაგება და გააზრება.

კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებულმა შეიძინა ქართული ენის საბაზისო დონის 4 ძირითადი ენობრივი კომპეტენცია (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი):

- **ასპექტი -აუდირება /მოსმენა/**

ა) *მონოლოგიური საუბრის აუდირების კუთხით* შეუძლია მოისმინოს და გაიგოს მონოლოგიურ მეტყველებაში მოცემული ინფორმაცია: თემა, ძირითადი იდეა, შეუძლია ყოველი აზრობრივი ნაწილის ძირითადი და დამატებითი ინფორმაციის გაგება სრულად, სიღრმისეულად და ზუსტად.

ბ) *დიალოგიური საუბრის აუდირების კუთხით* შეუძლია დიალოგის ძირითადი შინაარსის გაგება, დიალოგის მონაწილეთა საკომუნიკაციო მიზნების გაგება.

- **ასპექტი-კითხვა**

შეუძლია ქართულენოვანი ტექსტის კითხვა და მიმართულია შინაარსის ზოგადად გაგებისკენ; შეუძლია კითხვის სტრატეგიის შეცვლა, მიზნიდან გამომდინარე ქართულენოვანი ტექსტის თემის გააზრება, მისი ძირითადი იდეის გაგება; ტექსტის ძირითადი და დამატებითი ინფორმაციის გაგება სრულად, ზუსტად და სიღრმისეულად.

- **ასპექტი -წერა**

შეუძლია წერილობითი მონოლოგიური ხასიათის გამოთქმის აგება რეპროდუქციულად მოცემულ თემაზე კომუნიკაციის მიზნებიდან გამომდინარე; წერილობითი მონოლოგიური ხასიათის გამოთქმის აგება წაკითხულის ან/და მოსმენილი ტექსტის საფუძველზე კომუნიკაციის მიზნებიდან გამომდინარე.

- **ასპექტი -საუბარი**

მონოლოგიური საუბრის კუთხით შეუძლია დამოუკიდებლად შერწყმული გამოთქმების პროდუცირება შეთავაზებული თემის და კონუმიკაციის მიზნებიდან გამომდინარე; რეპროდუქციული ხასიათის მონოლოგიური გამოთქმის აგება წაკითხული ან/და მოსმენილი სხვადასხვა შინაარსობრივი სტრუქტურის მატარებელი ტექსტების საფუძველზე და საკომუნიკაციო მიმართულებიდან გამომდინარე; შეუძლია ტექსტში ასახული ფაქტების, მოვლენების, მოქმედი პირებისა და მათი ქმედებისადმი დამოკიდებულის გამოხატვა. დიალოგიური საუბრის კუთხით შეუძლია მოსაუბრის გამოთქმის გაგება, მისი საკომუნიკაციო მიზნის დადგენა/განსაზღვრა; შეუძლია მოსაუბრის რეპლიკებზე ადეკვატური რეაგირება; დიალოგის ინიცირება, საკომუნიკაციო მიზნების გამოხატვა.

ასევე კურსდამთავრებულს შეუძლია:

- წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე;

- დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა;
- საკუთარი დამოუკიდებულების გამოხატვა;
- მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბებისა და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა;
- მოცემულ სოციოკულტურულ გარემოში (ქართული ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით) თავისუფლად ორიენტირება;
- დაეუფლა აზრის გამოთქმის, კამათის, დისკუსიისა და პრეზენტაციის სტრატეგიებს და შეუძლია მათი გამოყენება.

სწავლის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია:

ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად (ე. წ. “სწავლის სწავლის” კომპონენტი); გააჩნია შესასწავლი მასალის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი; შეუძლია დამოუკიდებლად ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა საინფორმაციო წყაროდან.

ღირებულებები

- კურსდამთავრებული გაეცნო ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობასა და ღირებულებებს, შეუძლია დაფასება და პატივისცემა;
- შეუძლია ქართული ენის, როგორც ერთ-ერთი უძველესი ენის, მნიშვნელობის გააზრება;
- შეიძინა ქართული ენის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის, პატივისცემა და განამტკიცა მოქალაქეობრივი შეგნება ენობრივი და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებით.

9. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერ საბაკალავრო ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე.

10. პროგრამის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განწილება სემესტრების მიხედვით		დაშვების წინაპირობა	ლექტორი
			საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II		
1.	სამეტყველო ქართული ენა – 1 (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)	20	185	315	20		წინაპირობის გარეშე	მარინა კაკაჩია ასოცირებული პროფესორი მარინა ჯღარკავა დოქტორანტი
2.	სამეტყველო ქართული ენა – 2 (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)	15	140	235		15	სამეტყველო ქართული ენა – 1 (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)	გვანცა გვანცელაძე ფილოლოგიის დოქტორი
3.	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა-1	5	50	75	5		წინაპირობის გარეშე	მერაბ ნაჭყებია სრული პროფესორი მადლენა ოჩიგავა ფილოლოგიის დოქტორი
4.	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა-2	5	50	75		5	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა-1	მერაბ ნაჭყებია სრული პროფესორი მადლენა ოჩიგავა ფილოლოგიის დოქტორი
5.	საკომუნიკაციო ტექსტი 1	5	50	75	5		წინაპირობის გარეშე	მედეა კვარაცხელია ფილოლოგიის დოქტორი
6.	საკომუნიკაციო ტექსტი 2	5	50	75		5	საკომუნიკაციო ტექსტი 1	მედეა კვარაცხელია ფილოლოგიის დოქტორი
7.	ქართული ენის ორთოეპია და მართლწერა	5	50	75		5	წინაპირობის გარეშე	გვანცა გვანცელაძე ფილოლოგიის დოქტორი
სულ		60			30	30		